№ 53

ხუთშაბათი, 7 მარტი 1896

**ბაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ —ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1896

# ივერია

№ 53

ხუთშაბათი 7 მარტი 1896

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებასა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი №227

თელავის საკრებულო ტაძარში 10 მარტს გარდახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი **ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის სულის მოსახსენებლად.** (1—1)

თამბაქოს ფაბრიკა ნ. ი. ბოზარჯიანცისა
არსებობს 1858 წლიდგან.
ფირმა ღირს იქმნა უმაღლესის ჯილდოს მიღებისა.
ტელეფ. ფაბრიკისა № 100. **რეკლამა არ გვგონოთ.** ტელეფ. მაღაზ. № 181.

ცოდვად მიმაჩნია რა, რომ თამბაქოს შესახვევებსა და სილამაზეზე ვხარჯო ფული და ეს ფული თამბაქოს მხმარებელთ გარდავახდევინო, უფრო სამჯობინად ვსთვლი თამბაქოს ღირსება გავაუკეთესო, ვიდრე მისი გარეგნობა. გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ ჩვენს საქონელს: იმათი ღირსება მრავალი წელიწადია და ახლაც კონკურენციის გარეშეა, დამსახურებული აქვთ ყურადღება თავისის საუკეთესო ღირსებით და თუ ეს ღირსება აქვთ, მხოლოდ იმიტომ, რომ გარეგნობაზედ ფულის ხარჯვას ვერიდებით. ბ-ნთ თამბაქოს მხმარებელთ ვთხოვ გასინჯონ და დარწმუნდნენ.

1896 წლის 1 იანვრიდგან ჩემს ფაბრიკაში მომზადდა შემდეგი საქონელი:

| **პაპიროსები** | **პაპიროსები** | **თამბაქო:** |
|---|---|---|
| მიხაკის ფერ ფრანგულ გამოცდილ ქაღალდისა № 5 ,,ექსტრა“. 25 ცალი 15 კაპ., 100 ცალი 60 კაპ. 25 ც. 25 კა., 100 ც. 1 მან. | თეთრის ქაღალდისა № 36, „**სამხრეთისა**“ 10 ცალი 3 კ. | კავკასიისა 48 კაპ. 3 მანათამდე; ნამდვილი ოსმალური თუნუქის კოლოფებში 4 მან. 12 მანეთამდე. |

ისყიდება ყველგან, სხვა ქალაქებიდგან შემოკვეთილს სინიდისიერად ვასრულებთ.

მაქვს პატივი ფაბრიკის პატრონი ბოზარჯიანცი.

ძვირფასი გარეგნობა ღირსებასა ჰვნებს.

ძვირფასი გარეგნობა ღირსებასა ჰვნებს. (5—2)

**კაბინეტი კბილის ექიმთა**
**.ვ ი. ჯიჯინაძისა და ქ-ნის ქს. დ. ილარიონოვისა.**
მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79.
ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9—3 და საღამოს 4—7 საათამდე.

## დროებითი კომიტეტი

რომელიც წყალ-დიდობისა და დიდის თოვლიანობისაგან დაზარალებულ ქუთაისის გუბერნიისა და ტფილისის გუბერ. გორის მაზრის მცხოვრებთა სასარგებლოდ შესდგა, უმორჩილესად სთხოვს მსურველთ შემოწირულება კომიტეტის თავმჯდომარის კნ. ე. ნ. ბაგრატიონ-მუხრან-ბატონის სახელზედ გაჰგზავნონ ხოლმე. (ლორის მელიქოვის ქუჩა, საკუთარი სახლი)-

შემოწირულებას მიიღებენ აგრეთვე კომიტეტის შემდეგი წევრები: კნ. მ. ა. შარვაშიძისა (ახალი ბებუთოვის ქუჩა, საკუთარი სახლი). კნ. მ. ი. არღუთინსკი-დოლგორუკოვისა (გოლოვინის პროსპექტი, საკუთარი სახლი), კნ. მ. ვ. ორბელიანისა (ნიკოლოზის ქ., საკუთარი სახლი), კნ. ნ. დ. ჩოლაყაშვილისა (განოვის ქ., გურგენოვის სახლი, კნ. ე. მ. სუმბათაშვილისა (ერევნის მოედანი, საკუთარი სახლი), ა. ფ. მილიუტინისა, უგანათ. თავ. პ. ა. გრუზინსკი (ერევნის მოედანი, სუმბათაშვილის სახლი), თავ. გ. ი. ორბელიანი (მიხეილის ქუჩა), თავ. დ. ა. გურამიშვილი (კონსულის ქ.) და თავ. ვ. ს. მიქელაძე (განოვის ქ., 7).

შემომწირველთა გვარი და სახელები გაზეთის საშუალებით იქმნება გამოცხადებული. (7—2).

## მთავრობის განკარგულებანი.

—

უმაღლესის ბრძანებით 20-ს თებერვლს 1896 წ. ფინანსთა სამინისტროს უწყებაში კარგი სამსახურისათვის დაჯილდოვებულ იქმნენ და მიიღეს კოლეჟსკი ასესორობა: ასხაბათის საბაჟოს წევრმა ჩიკვაიძემ, საქციზო გარდასახადთა უფროსმა თანაშემწემ III განყოფილების ზედამხედველისამ ჩხატარაშვილმა, ზედამხედველმა V განყოფილებისამ გვერდწითელმა; კოლეჟსკი სეკრეტარობა მიიღო უფროსმა კონტროლერმა III განყოფილებისამ ქებაძემ; გუბერნსკი სეკრეტარობა—უფროსმა შტატის კონტროლერმა I ლის განყოფილებისამ ფორაქაშვილმა; კოლეჟსკი რეგისტრატორობა მიიღო უმცროსმა კონტროლერმა VII განყოფილებისამ ძამაშვილმა.

სასჯულო საქმეთა სამინისტროს უწყებაში:

სტატსკი სოვეტნიკობა მიიღო ქ. ტფილისის 3-ე განყოფილების მომრიგებელმა მოსამართლემ წინამძღვარიშვილმა, თიონეთისამ გამრეკელმა; ნადვორნი სოვეტნიკობა მიიღო გორჯზნის განყოფილების მომრიგებელმა მოსამართლემ ბაქრაძემ, კოლეჟსკი ასესორობა—ბაქოს ოლქის სასამართლოს ბრალმდებლის ამხანაგმა გელოვანმა, ტიტულიარნი სოვეტნიკობა—განჯის ოლქის სასამართლოს ნოქარმა ხოჯაშვილმა და ბაქოში ხუტულაიშვილმა, ხოლო განჯის საოლქო სასამართლოში კანდიდატად ჩარიცხული ხოჯაშვილი კოლეჟსკი სეკრეტრად იქმნა დამტკიცებული.

—

მილიციის პრაპორშჩიკი თავადი ქავქავაძე დუშეთის მაზრის მომრიგებელ მოსამართლის თანამდებობის აღმასრულებლად იქმნა დანიშნული.

# ახალი ამბავი

—

*** ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწედ თავადის ბარიატინსკის ნაცვლად, რომელსაც დაღესტნის სამხედრო გუბერნატორობას აძლევენ, როგორც ხმა დადის, ამბობს გაზ. «ნოვ. ობ.»-ე, ზაქათალის ოლქის უფროსს პოლკოვნიკს სამოილოვს ჰნიშნავენო.

*** ღარიბ მოწაფეთა დამხმარებელ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების გამგე კომიტეტი განსვენებულის გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავებაზედ დასასწრებლად თავისს წარმომადგენელად საზოგადოების წევრს მიხ. ქაიხ. ყიფიანსა ჰგზავნის, ხოლო სათავად-აზნაურო სკოლა—ინსპექტორს ექვ. სიმ. თაყაიშვილს.

გარდა ამისა გამგე კომიტეტმა დაადგინა ერთი ღარიბი და ობოლი აზნაურთაგანი სტიპენდიატად იყოლიოს ხსენებულს სკოლაში განსვენებულის სახელობაზედ, რაზედაც მომავალს საზოგადო კრებაზედ შუამდგომლობას აღძრავს.

*** მადლობა ღმერთს ძლივს ტფილისის ქალაქის საბჭომ კეთილ-ინება და გარდასწყვიტა (4 მარტის სხდომაზედ) ტფილისში საჯარო ბიბლიოთეკისა და სახალხო სამკითხველოს დაარსება. დიდი ხანია ამაზედ აღძრული კითხვა და ისიც გვაკვირვებს, რატომ აქამდისაც არ გადასწყვიტეს იგი. ეხლა სასურველია მხოლოდ, რაც შეიძლება მალე მოიყვანოს სისრულეში იგი. საბჭომ ამოირჩია კომისსია ბიბლიოთეკისა და სამკითხველოების წესდების შესადგენად. კომისიაში არჩეულ იქმნენ ა. ა. იოანნისიანი, მღვ. ცინცაძე, მ. ი. თამამშევი, თ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, ა. ს. ბაბოვი, პ. ა. ოპოჩინინი და თ. პ. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი.

*** როგორც გვატყობინებენ, სახელმწიფო ქონებათა მრწმუნებელს ბ-ნს მედვედევს განკარგულება მოუხდენია, რომ ამ გაზაფხულზედვე, შეასწორონ გზა, რომელიც წმ. მამა დავითის ეკკლესიიდამ ადის მთაზე და, სადაც ამ ორის წლის წინად ბ-ნმა ქაჯაიამ გამართა პატარა სასტუმრო. ბ-ნს მედვედევს უცვნია ეს ადგილი საუკეთესო გასასეირნებელ კუთხედ ქალაქის მცხოვრებთათვის, მეტადრე საზაფხულოდ და ამის გამო არათუ გზას აფართოებენ, არამედ განუზრახავთ გზის პირებზე ჩაჰყარონ სხვადა-სხვა ხეები და დათესონ ყვავილები.

*** „სპბ. ვედომ.“-ს გაუგონია, რომ საფინანსო წრეებში განზრახვა აქვთ ყველა დამზღვევი დაწესებულებანი ხაზინაში გადავიდნენო, თუ რომ მართლა ასე მოხდა, წლიურად შემოსავალი ექნება 60 მილიონი მანეთიო.

*** სახელმწიფო ხაზინის დეპარტამენტს, როგორც „ნოვ. ობ.“-ეს აუწყებენ, წინადადება წარმოუგზავნია ტფილისის სახაზინო პალატისათვის დ. შულავერში დაუყოვნებლივ სამაზრო ხაზინა გახსნას.

*** „გრაჟდანინი“ ამბობს, მთავრობას სურსო გარდასწყვიტოს, რომ ამას იქით ოფიცრებს სახაზინო მოსამსახურეები („დენშჩიკები“) აღარ ეძლეოდეთ. ამის მაგიერად ოფიცრების ჯამაგირს მიემატება თვეში თუმანი. სახაზინო მოსამსახურეებით ოფიცრებს შეუძლიანთ ისარგებლონ მხოლოდ ომის დროს, პირადად თავისათვის, ხოლო სახლობას-კი ისევ ფულს მისცემენ (თვეში 10).

*** როგორც გაზ. „ბირჟ. ვედ.“-ი იუწყება, ამ ჟამად უკვე შესდგომიან იმ საკითხს, რომ სასულიერო სემინარიები ძირეულად შესცვალონ. განზრახვა თურმე აქვთ შეამცირონ საერო საგნების პროგრამა და სამაგიეროდ ღვთის მეტყველების საგნების პროგრამა გააფართოვონ. გარდა ამისა სემინარიებში მხოლოდ იმდენი მოწაფეები-ღა მიიღებიან, რამდენიც მღვდელთ-მსახურებისათვის იქნებიან საჭირონიო.

*** გაზეთს „ნოვოსტ.“-ში სწერია, რომ სწავლა-განათლების სამინისტროს დაუნიშნავს ცალკე კამისია, რომლის თავ-მჯდომარეობა მიუნდვია პროფესორ მენდელეევისათვის. ამ კამისიას მინდობილი აქვს გამოარკვიოს ეხლანდელი მდგომარეობა რეალურ სასწავლებლებისა და მის მომართ უნივერსიტეტებისა. ამასთან სამინისტროს დაუვალებია, რომ კამისიამ შეადგინოს იგი წესნი, რომლის მიხედვითაც კურს-შესრულებულნი რეალურ სასწავლებელში მიღებულ უნდა იქმნან უნივერსიტეტებში სამკურნალო, საფიზიკო-სამათემატიკო და საბუნების მეტყველო-საისტორიო ფაკულტეტებზე.

*** უმაღლესად დაწესებულია კამისია, რომლის თავ-მჯდომარედ დანიშნულია წევრი ფინანსთა სამინისტროს საბჭოსი ს. ა. ოლხინი. ამ კამისიას მინდობილი აქვს მოაცილოს აწ არსებულს კანონებს შესახებ სამრეწველოების და სახელოსნოების გამართვის ნება-რთვის აღებისას იგი შევიწროებანი, რომელიც დღეს თანა სდევს. ამ კამისიაში სხვათა შორის გამოუწვევია ცხარე ბაასი იმას თუ—სახელოსნოს გამმართველი ვალდებულია უსათუოდ ამქარში (цехъ) ჩაეწეროს და ისე გამართოს სახელოსნო, როგორც ეხლაა, თუ ნება უნდა მიეცეს სახელოსნოს გამართვისა უამისოდაც, ესე იგი, ამქარში ჩაუწერებლად. ბევრი ჰო და არა თქმულა ამ საგანზე და ბოლოს კამისიას გამოუთქვამს სურვილი, რომ აწ არსებულ კანონებიდამ გამოკლებული იყოს იგი კანონი, რომელიც ამქრის უსტაბაშს (цеховой староста) ჰვალად სდებს თვალ-ყური ეჭიროს არავინ გაადოს სახელოსნო, თუ ამქარს არ ეკუთვნის. (მ. ვ.)

*** ჭიათურა, 4 მარტი: 3 მარტს ერთი საზარელი ამბავი მოხდა აქ. მთიდამ წამოსული თოვლის ზვავი დაეცა ერთის ხარაზის ქოხს, სადაც იმ დროს ხალხი თურმე იყო და ქვეშ მოიტანა. რვა ამათგანი გასრისა და სამი ცოცხალ-მკვდარი-ღა გამოიყვანეს.

*** თუმცა ტყეთ-მცველნი (лѣсо охранительный) კანონები ჰკვრენ და აყორულებენ ტყეებს მოჭრისა და წანახედისაგან და ამისათვის თვალყურის ჭერა სახელმწიფო ტყეების მოხელეებსა აქვთ დავალებული, მაგრამ იგივე კანონები ნებას არ აძლევენ ცალკე ყარაულები იყოლიონ მოხელეებმა იმ ტყეებისათვის, რომელნიც ცალკე კაცს, ანუ საზოგადოებას ეკუთვნიან და რომელნიც შეკრულნი და დაყორულებულნი არიან ტყეთა-მცველ კანონების ძალითა. ეხლა, როგორც რუსეთის გაზეთები სწერენ, ჩვენ შევიტყეთო, რომ ამ გვარ კერძო კაცთა და საზოგადოებათა ტყეებისათვისაც დანიშნულ იქნებიან ცალკე ყარაულები სახელმწიფო ხარჯითა და იმავე წესით, როგორც სახელმწიფო ტყეებისათვის არისო. ხოლო განსხვავება ის იქნება თურმე, რომ კერძო კაცთა და საზოგადოებათა, ტყეებში ყარაულებს ნება არ ექმნებათ ან გაიტანონ შეშა, ან ინადირონო. (მ. ვ.)

*** ბათომიდამ სწერენ „მოსკოვსკია ვედომოსტებს“, რომ ბათომის ოლქა მეტად მდიდარია მადნეულობითა; ტყვია-ვერცხლი, სპილენძი, ცინკი ბევრია და ყველა ესენი ცხადად სჩანან ასე, რომ მთის ინჟენერებს, ვისაც-კი აქაურობა უნახავს, არა ერთხელ ეს ამბავი გამოუცხადებიათო. ამ რვა წლის წინად იქაური სოვდაგარი რ. ა. რიხნერი შესდგომია სპილენძის მადნის მუშაობას ართვინის ადგილებში და სახელდობრ „ხოტში“ და ამ საქმეზე დაუხარჯავს 800,000 მანეთიო. მაგრამ ბ-ნს რიხნერს და მისს ამხანაგს ბ-ნს სალერნის რაღაც ერთმანეთში დავა ასტეხიათ და საქმე, ცოტა არ იყოს, დაბრკოლებულა. ეხლა მარტო ბ-ნს რიხნერს დარჩენია ეს მადანი, რომელიც ისე მდიდარია თურმე სპილენძით, რომ მას არა სხვა ამისთანა მადანი რუსეთში არ შეედრებაო და ხელახლად შესდგომია საქმეს მარტო, უამხანაგოდ და არა მარტო

ხოტში, რომელიც ართვინის მაზრაშია, არამედ აჭარაშიაც სოფელ მერისშიო. სპილენძი იმოდენა გამოდის, როცა მადანს გადაადნობენო და იმისთანა კარგი თურმე, რომ უკეთესი აღარ ინატრებაო.

მადნის გადასადნობელი ქარხანა ბ-ნს რიხნერს ბათომიდამ 12 ვერსტზე თურმე აქვს სოფელს „ერლაში“ და მოწყობილი აქვს უკეთესის მანქანებით, სამზღვარ გარეთიდამ მოტანილებითაო. თვითონ მადანი გადასადნობელად ართვინის მაზრიდამ ჭოროხის წყალით მოაქვთ და აჭარიდამ-კი ჩარვადრები ეზიდებიანო. ბათომიდამ ქარხანამდე მშვენიერი გზა-ტკეცილია და ბათომში მიტანა ხალასის სპილენძისა ბევრი არ ჯდებაო.

მართლა ასეთი სახეიროა და გამოსარჩენი ბ-ნ რიხნერისათვის ზემო აღწერილი მადნები თუ არა, ჩვენ არ ვიცით. ხოლო ზემოხსენებული ამბავი ასანიშნავია, როგორც ერთი იმისთანა მაგალითი, რომელიც გვაუწყებს, რომ ჩვენს გამრჯელობას სძინავს, ჩვენ ჩვენშივე ბრმასავით დავიარებით, ვერა ვხედავთ რის მომცემია ჩვენი ქვეყანა და, საცა გვებავთ და არა გვებავთ, ვიძახით-კი ღარიბნი ვართ, თითქო სიღარიბე ასე თავ-მოსაწონებელი რამ იყოს. როდის შევესწრებით სხვას, უკეთესს დროს,—ეგ ღმერთმა იცის. მინამ ეს დრო მოვა, ჩვენც ისე არ მოგვივიდეს როგორც პავლეს პეტრეს ლოდინში.

---

### კორესპონდენცია.

**ქუთაისი.** საგანგებო კრება დაიწყო 25 თებერვალს და გათავდა 26-ს. თავდა-პირველად თ. სვ. წერეთელმა აუწყა კრებას მღვდელთმთავრის გარდაცვლება; კრებამ განსვენებულს პატივი სცა ფეხზედ წამოდგომით. უმთავრესი საგანი კრების ბაასისა იყო დაზარალებულთათვის დახმარების აღმოჩენა. დადგენილ იქმნა: დაარსდეს ქუთაისში ცენტრალური კომიტეტი და ყოველს მაზრაში ადგილობრივი კომიტეტი იქაურ მარშლის თავმჯდომარეობით. ადგილობრივმა კომიტეტებმა უნდა შეჰკრიბონ ცნობები დაზარალებულთა და ზარალის რაოდენობის შესახებ; შეჰკრიბონ შემოწირულებანი და სხვა დახმარების საშუალებანი გამოიძიონ და დახმარება აღმოუჩინონ ადგილობრივ დაზარალებულთ. ცენტრალურ კომიტეტის დანიშნულებაა—თვალ-ყური ადევნოს დახმარების წეს-რიგს და მატერიალური საშუალებანი გაანაწილოს ყველა მაზრებს შორის მათ მოთხოვნილებათა შესაფერად. ცენტრალური კომიტეტები შესდგება მაზრების მარშლების გარდა 9—10 წევრისაგან. გარდა ამისა გარდასწყვიტეს სთხოვონ მთავრობას ან პირდაპირი შემწეობა მოგვეცეს ფულით და ან მოგვეცეს ნება, რომ მთელს სახელმწიფოში გამართულ იქმნას ხელის-მოწერა დაზარალებულთა სასარგებლოდ. თუ ზემო მოყვანილი საშუალებანი საკმარისი არ იქნება, მაშინ კომიტეტი გუბერნატორის შემწეობით სთხოვს მთავრობას სესხს.

მეორე უმთავრესი საგანი კრების სჯისა იყო სკოლების დაარსება. აქაურმა გუბერნიის მმართველმა ის წინადადება მისცა თავად-აზნაურობას, რადგან თქვენ ქონებრივად ერთობ უკან ჩამორჩენილი ხართ, რომლის მიზეზიც სამეურნეო და პროფესიონალური ცოდნის უქონლობააო, ამისათვის შესაფერი სკოლები დაარსეთ თქვენის საკუთარის ხარჯითაო. ხოლო როდესაც სკოლას მოაწყობთ, შეიძლება მთავრობა შემოგიდგეთ ხარჯის ერთ-მესამედშიო. საშუალების მოსაპოვებლად, სხვათა შორის, სათავად-აზნაურო სასწავლებელი დახურეთ და ის ფული, რაც იმაზედ მიდის, სხვა სკოლებს დაახარჯეთო. ამის შესახებ კრებამ დაადგინა: სათავად-აზნაურო სკოლის არსებობა და შენახვა სხვა-და-სხვა მიზეზების გამო მიუცილებელია. რაიცა შეეხება სამეურნეო და პროფესიონალურ სკოლების დაარსებას, ეს ჩვენ ღარიბ თავად-აზნაურობას არ შეუძლიან, თუ იგინი არ დაარსდა იმ ფულით, რომელიც ადგილ მამულზე არის გაწერილი (земскія деньги). ეს ფული 700 ათას მანეთამდის ადის ყოველ წლობით და რადგანაც ადგილობრივ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად არის დანიშნული, ამიტომ კარგი იქნებოდა ერთი ნაწილი სწორედ ამგვარ სკოლების დასაარსებლადაც მოგვეხმარაო. მესამე საინტერესო საგანი იყო ჩვენის ბანკის მართვა—გამგეობის წეს რიგის შეცვლა. ეს პროექტი გუბერნატორს მოსვლია განსახილველად, გუბერნატორმა-კი მარშალს გარდასცა, რათა კრებისათვის მოეხსენებინა. ფინანსთა სამინისტროში დაარსებულ კომისსიას შეუდგენია პროექტი, რომლითაც ბანკის დამფუძნებელთა ერთმევა უფლება ბანკის მართვაში მონაწილეობისა. ბანკის ბედ-იღბალი ამ პროექტით მხოლოდ მსესხებლებს უვარდებათ ხელში. ამგვარი ცვლილების მიზეზად, ახირებული აზრია მოყვანილი: ა) ვითომც დამფუძნებელთათვის არაფერი საინტერესოა ბანკის საქმე, მისი კარგად, თუ გლახად წაყვანა და ბ) ვითომც დამფუძნებელთა მონაწილეობა არის მიზეზი კრებებზე მომხდარ უწესოებისა. ამაზედ კრებამ საბუთიანად უპასუხა, რომ ბანკის ძირითადი თანხა დამფუძნებელთა საკუთრებაა და მათი ბანკიდამ განდევნა საკუთრების წართმევა იქმნება; რომ ის აზრი, ვითომც მხოლოდ დამფუძნებელნი ახდენდნენ კრებებზედ უწესოებას, ჭეშმარიტებას მოკლებულია; რომ, თუ ბანკი მარტო მსესხებლების ხელში ჩავარდა მისი საქმე ძალიან გლახად წავა. მსესხებლების და დამფუძნებლების ინტერესები თითქმის წინააღმდეგია ერთი ერთმანეთის, რადგან დამფუძნებელი სცდილობს, რაც შეიძლება მეტი წმინდა შემოსავალი დარჩეს და ეს სარგებელი მის საჭიროებას მოხმარდეს; მსესხებელი კი ეცდება, რომ შემოსავალი ცოტა იქმნეს, რადგან მაშინ ნაკლები სარგებელი გარდახდება. ამიტომ კრებამ გარდასწყვიტა: მიენდოს გუბერნიის მარშალს—იშუამდგომლოს მინისტრის წინაშე, რომ დამფუძნებელთა უფლებები ბანკის საქმეში წინანდებურად დაცული იქმნეს.

ს. ჯ.

—

**სოფ. ნორიო.** (ტფილისის მაზრა). 27 თებერვალს ჩვენის სოფლის სკოლა დაათვალიერა სახალხო სკოლების ინსპექტორმა ბ-მა ბავლოვმა. წინა დღეს, 26 თებერვალს, მარტყოფის სკოლაში იყვნენ ინსპექტორისაგან მიწვეულნი ნორიოსი, ხაშმისა და მარიენფელდის მასწავლებლები სანიმუშო გაკვეთილებზედ დასასწრებლად და გასარჩევად, რომელიც უნდა მიეცა ამავე სკოლის მასწავლებელს ბ-ნს შოშიას. შემდეგ გაკვეთილებისა ინსპექტორმა... გამოსცადა მოწაფეები და გამოცდის შემდეგ დაათვალიერა მოსწავლე ქალების ხელ-საქმე, რომლითაც დიდი კმაყოფილი დარჩნენ, როგორც ინსპექტორი, ისე მიწვეული მასწავლებლებიც. მართლაც დიდის მადლობის ღირსია ქ-ნი ბარბარე ბერიშვილისა, რომელიც გულ-მხურვალედ ეკიდება თავისს თანამდებობას და ასწავლის მოსწავლე ქალებს, ამ მომავალს დედებს, ოჯახისათვის ბევრ ნაირ გამოსადეგ ხელთ-საქმესა. ამავე დღეს ბ-ნმა ინსპექტორმა დაათვალიერა ნორიოში სკოლის ბაღი, რომელიც დიდი ხანი არ არის რაც სკოლამ შეიძინა და გააშენა ხეხილები და თუთის პლანტაცია. მეორე დღეს ინსპექტორმა გამოსცადა მოწაფეები, რომლების ცოდნითაც კმაყოფილი დარჩა. გამოცდის დროს ბ-ნი ინსპექტორი დიდს ყურადღებას აქცევდა, როგორც რუსულს, აგრეთვე ქართულს ენასაც. ყველა მოთხრობას და ლექსს რუსულიდამ ქართულად ათარგმნინებდა მოწაფეებს და აგრეთვე ქართულიდამ რუსულად. ბ-ნმა ინსპექტორმა მოიწონა აგრეთვე შეგირდების გალობა. ჭეშმარიტად დიდის მადლობის ღირსია ინსპექტორი ბ-ნი პავლოვი, რომელიც უმზერს სწავლა-განათლების საქმეს ფორმალურად-კი არა, არამედ საფუძვლიანად: სცდილობს კარგს ნიადაგზედ დააყენოს სწავლის საქმე და რევიზიის დროს სძენს მასწავლებლებს ბევრ-ნაირს გამოსადეგ ცნობებს და აძლევს დარიგებას. ბ-ნი ინსპექტორი დაჰპირდა მასწავლებლებს, რომ განკარგულებას მოახდენ ყოველ თვე ერთად შეიკრიბოთ ერთს რომელსამე სკოლაშიო და აძლიოთ სანიმუშო გაკვეთილებიო. ეს დაპირება ფრიად სასიკეთო საქმეა, რადგან მასწავლებლები ერთმანეთს დაუ-

---

# ფელეტონი

—

### ღ უ ღ უ ნ ი

„ღუღუნი იგი ჩამრჩენია გულს—
მწუხარე არის, ვით გლოვის ზარი“.
ი. ჭავჭავაძე.

დასასრული *)

აი ასე დამალონებელი იყო ის ღუღუნი, რომელიც ახლა ესმოდა ყაჩალს.

ესმოდა, ესმოდა და ყურსაც უგდებდა, ყურს უგდებდა ისე, როგორათაც ძალიან დიდი, დიდი ხანი იყო ყური არ ეგდო.

თანაც მასში უცნაური რამ ჰხდებოდა... ჰგრძნობდა, რომ არსება ორად ეყოფოდა,—ერთი ნახევარი ცდილობდა სმენის ქერქში შემძვრალიყო, რათა არც ერთი ნაკვთი მეურმის სიმღერისა არ გამოჰპარვოდა,—მეორე ნახევარი-კი—ცალ-თვალა ხარივით სხვა მხრით მიიწევდა. იგი იმ აზრით გაქლენთილიყო—თუ როგორ უნდა დაჰხვედროდა ყაჩალი მეურმეს, მოეკლა იგი, ვინიცობაა გასძალიანებოდა, თუ არა, ან საქონელი რა გზით გაერეკა და სხვ.

მაგრამ საქმე იმაში გახლდათ, რომ ერთი მეორეს ძალიან ჰმეტოქეობდა და თავისკენ უნდოდა გადებირა.

ჯერ ჯერობით მეორე სჯობდა, მაგრამ თანდათან-კი პირველმაც აიდგა ფეხი და ყოველ წუთს ზრდა ემატებოდა, აი ძლიერებით კიდეც გაუთანასწორდა მოკინკლავეს...

ამ დროს მეურმემ ხმა უცნაურად ჩაარაკრაკა, ჰაერი ოდნავ აათრთოლა. მერე ცოტა მოშორებით გმინვის მსგავსი აკორდი გაისმა, თითქოს ვილაცას ხანჯალი დასცესო და იმან ამოიხმაურაო. ერთხანს ჰაერში კვნესა კანკალებდა, კვნესა არყევდა სიჩუმეს, მხოლოდ თანდათან მიწყნარდა, მინელდა და სადღაც ჩაკვდა, ჩაიმარხა, როგორათაც ობოლი ადამიანი, უპირისუფლო ცხედარი.

აქ-კი პირველმა სძლია! დიაღ, გრძნობამ სძლია გონების თვალს და ზედ ჩრდილი მიაყენა. როგორათაც დღე ღამეს—ისე შესჭიდებოდა ეს ორი ძალა ერთი მეორეს და, ღვთით, დღემ გაიმარჯვა, გაიმარჯვა და გამეფდა ყაჩალის არსებაში.

ახლა მისი არსება კვლავ გაერთსულ-გაერთხორცდა და დიდის ხნის უცნობმა გრძნობამ თავისი თბილი სხივები ზედ მიაფინა.

ამ რიგად, ყაჩალის გულის თქმისაგან განიდევნა ის, ეშმაკსავით პირქუში, მრჩეველი, რომელიც სატანისებურის კილოთი ჩასჩურჩულებდა: „არ აჰყვე გრძნობას—კისერს მოგატეხინებს! ყურს ნუ უგდებ მეურმის ღუღუნს—ინანებო!“ განიდევნა და ამასთანავე კაცმა როგორღაც სუბუქად ამოისუნთქა. აქამდის ჰგრძნობდა, რომ რაღაც სიმძიმე აწვა, ახლა-კი, ცოტა არ იყოს, თავისუფლად ყურს უგდებდა მეურმის ღუღუნს, რომელსაც ურმის ჭრიალი, ეს გულის გამაწვრილებელი ხმა და საქონლის ფეხის ბაკუნი, შეხამებით უერთდებოდა, თითქოს ბანს აძლევდა.

უგდებდა ყურს და თანაც ჰგრძნობდა, რომ ეს ხმა ოდესღაც გაეგონა, სწორედ იმ რიგად, იმავე ხასიათით აღსავსე, როგორათაც ახლა ესმოდა.. დიაღ, გაეგონა... როგორ არა, მაგრამ სად? როდის?

ეს კითხვები იყო და ყაჩალს გარშემო ოცნების ნისლი სქლად მოებურა, შიგ გაეხვია. განშორდა ამ ქვეყანას და თვალი მიაპყრო იმ სურათებს, რომლებიც გრძნობისაგან ფრთა შესხმულმა ოცნებამ ხელოვნებით აღსავსე ხელით დაუხატა...

წარმოიდგინა თავისი თავი ჯერ კიდევ სულ პაწიაობის დროს, იმ დროს,როცა დედა „ნანინათი“ აძინებდა ხოლმე, წარმოიდგინა თავისი ავზნიანობა, ჭირვეულობა და ამასთან ერთად შემოესმა ის მომხიბლავი «ნანაც», რომელიც ამშვიდებდა მას, თვალებს უხუჭავდა და ძილის მორევში შეაცურებდა ხოლმე. და სწორედ ამ ნანასა და მეურმის ღუღუნის შორის ჰპოვა რაღაც „საერთო“ და ეს «საერთო» იყო ის ნაღველი, მწუხარე კილო, რომელსაც ორივე ერთნაირად განემსჭვალა, განეგმირა.

სურათი ცოტათი გამოიცვალა... ის ახლა სულ პაწაწა აღარ არის... თამამად შეუძლიან სირბილი, ტოლ-ამხანაგთან გოთაობა, ჩხუბიც, თუ საჭირო იქნება, არავის დაუთმობს უსამართლოთ ღილების წართმევას, დედის გალანძღვას, იმ დედისას, რომელიც ისე ძალიან უყვარს. მოდი და ნუ შეიყვარებ, როცა ისე გულ-მტკივნეულია, მზრუნველი; მაშინ, როდესაც ყველანი დასცინიან იმის მიმტვრეულს და ჩასისხლიანებულს ცხვირ-პირს—ნიშნს უგებენ: «თვალი მოუთხრიათო, «ახი უქნიათო“, დედა ტკბილად მოჰბანს ხოლმე სისხლსა, ან ვაშლს აჩუქებს, ან ჩურჩხელას და ეტყვის:—არა უშავს-რა, შვილო, გაიზრდები—დაგავიწყდებაო.

აი, თუნდა ახლა... ეს არის გაათავა ტოლ-ბიჭებთან გოთაობა და, დამარცხების გამო გულ-ნაკლულმა, სახლისაკენ გამოსწია. ისეა გაჯავრებული, რომ ცრემლები ყელში ებჯინება, ერთი სიტყვაც და ეს არის ფშრუკუნს მოჰყვება, იცის, რომ არც დაიგვიანებს ეს სიტყვა, მაგრამ მაინც სახლისაკენ მიდის... შევიდა ეზოში... გაჩერდა, ათვალიერებს პირველი ვინ შემხვდებაო... ეზოში არავინა სჩანს.. ერთის მხრით არც-კი იამა, რომ არავინ დაჰხვდა, არავინ გააბრაზა, მაშინ, როდესაც ისე უნდა ბღავილი, როგორათაც გოთაობაში გამარჯვებულის დამარცხება... მაგრამ არა, თუთის ქვეშ დედა დაინახა და იმისკენ გასწია. შორიდგანვე შეუძახა „დედიო“ (იმ ზომამდე იყო გახსენება ხორც-შესხმული, რომ ყაჩალის ყურში ამ დაძახებამ მეტად მკაფიოდ გაიხმაურა—თითქოს ახლა უძახისო და მერე რა ტკბილად!)

მშობელმა დაღუნული თავი მაღლა ასწია, შვილს შეხედა... სახე გაეხსნა და თვალებისგან გამონაკრთობი სხივები სიყვარულისა ბავშვის ნორჩ სახეს მზის სვეტებსავით გადააფინა.—„რა გინდა ჩემო ბიჭიკო?“—ეკითხება დედა. შვილი-კი უსიტყვოდ გაქანდა დედისაკენ და კალთაში ჩაუხტა.—„მაიცა, შენ გენაცვალოს დედა, წინდის თვალი არ ჩამეშალოს“.—შვილს არაფრად მიაჩნია ეს გაფრთხილება და გაოფლიანებული პირისახე უნდა დედის ძუძუებს მიაყრდნოს; დიდი ხანია, ძუძუს წოვა გაათავა, მაგრამ მაინც ძალიან უყვარს იგი...

— „ჩემო ნუკრო, რათა ხარ გაოფლიანებული?“ კვლავ ჰკითხავს დედა, თანაც კაბის კალთით მზრუნველობით ოფლსა სწმენდავს... შვილი პასუხს არ აძლევს... რაღაც ბრძოლაშია... ტირილი უნდა... ასეთმა ლმობიერმა მოქცევამ გული უფრო აუჩუყა... მაგრამ ამასთანავე—ამხანაგისადმი წყრომაც დაუცხრო... მოსწმინდა მის გულს ქაფსავით მოგდებული ბრაზი და თუ ეტირება—მხოლოდ იმიტომ, რომ იცის იგი ეტკბილება. ბოლოს ამ სურვილმაც გადაუარა და დედას შვილის ნუკრივით ამოეკრა. დედასაც იამა შვილის მოხვევა—და პატარას თავის კორტნა დაუწყო.

სტკბებიან ასე უსიტყვოდ ერთი მეორის მიკარებით მშობელი და შობილი, როგორათაც დედა-კამეჩი და მისი პატარა ზაქი, რომელნიც ამავე დროს მეორე ხეს ამოჰფარებიან. პატარა პირუტყვი მისდგომია მარცხნივ დედას, თავი უკანა ბარძაყისათვის ამოუფარებია და ძუძუსა სწოვს. ჩამოსწოვს, ჩამოსწოვს, ააწლაპუნებს ტუჩებსა და ერთბაშად თავს მაღლა აჰკრავს, პირს ცოტა ზევით მოავლებს, რომ უფრო უხვად გაიმასპინძლოს დედის ძუძუ. დედას-კი კისერი მოუგრეხია, გადასწვდომია ნაშობსა და თავისის თეთ-

*) იხ. «ივერია“ № 52

ახლოვდებიან, ნაკლულევანებას შეუსწორებენ ერთმანეთსა და, ეჭვი არ არის, სწავლის საქმეს უკეთესად წაიყვანენ.

ნორიოს სკოლის მასწავლებელი გ. ფ—ლი.
ს. ნორიო. 96 წ. 3 მარტი.

## ერობის პროექტი.

ამას წინად მოხსენებული გვქონდა, რომ ჩვენში ერობის შემოღების პროექტი უკვე წარედგინა გუბერნიის მარშალს. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია მივაწოდოთ მკითხველებს ამ მიზნისათვის არჩეული კომისსის მოხსენება და თანაც თვით კომისსიის მუშაობის მსვლელობა გავაცნოთ საზოგადოებას. პირველი მოხსენება, რომელიც კომისიამ მიიღო, ეკუთვნის თ. გ. თუმანოვს, იგი შემდეგი შინაარსისაა: «30 მაისს 1894 წ. მომხდარს თავად-აზნაურობის კრებაზედ მე განვაცხადე, რომ საჭიროა ვითხოვოთ ჩვენში ერობის შემოღება. კრებამ ერთ-ხმად გადასწყვიტა: მიენდოს განსაკუთრებულს კომისსიას ამ საგნის გასინჯვა. კომისსია შესდგება გუბერნიისა და მაზრის მარშლებისაგან. მე კი მონდობილი მქონდა კრებისაგან, შემედგინა დაწვრილებითი პროექტი და წარმედგინა კომისსისათვის. საჭიროდ მიმაჩნია თავდა პირველად მოგახსენოთ, თუ რა მიზეზით აღვსძარი კითხვა ერობაზედ. თავად-აზნაურობას მრავალი თხოვნით მიემართა მთავრობისათვის, მაგრამ მთავრობას უარი ეთქვა ყველაზედ, რადგან კარგად არ არის დასაბუთებული თქვენი თხოვნაო. თავად-აზნაურობის თხოვნა დიდად საყურადღებო იყო, როგორც მაგალითად, სწავლა-განათლების გავრცელება, მიწების გამიჯვნა და სხვ. თუ მთავრობამ უარი გვითხრა, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ ენერგიულად არ მოგვიკიდია საქმისთვის ხელი, არ მოგვიყვანია რიგიანი საფუძველი ჩვენი თხოვნის მიუცილებლობისა. ამ კითხვების შემუშავება კი არ შეუძლია მარტო სათავად-აზნაურო დაწესებულებას, ამისათვის საჭიროა იმავე საშუალებებს მივმართოთ, რომლითაც სარგებლობენ სხვა მხარეები ჩვენი სახელმწიფოისა. მიუცილებელია კავკასიაში შემოღებულ იქმნეს იმგვარივე საერო დაწესებულებანი, რომელნიც არსებობენ რუსეთის შიდა გუბერნიებში.

ესეც რომ არ იყოს, საერო დაწესებულებათა შემოღების მიუცილებელ საჭიროებას მრავალი სხვა საფუძველი აქვს. მხოლოდ საერო დაწესებულებათ შეუძლია სავსებით და რიგიანად დაკმაყოფილონ მრავალ-რიცხვი ადგილობრივი საჭიროება, მხოლოდ მთელი საზოგადოების შეერთებულ ძალებს შეუძლიათ მიაღწიონ ამ მიზანს. შეხედეთ ქალაქის თვით-მმართველობას, რა დიდი სარგებლობა მოაქვს ქალაქისათვის. აბა, აიღეთ სხვა ქალაქები სადაც თვით-მმართველობა არ არის და ნახავთ რამდენზედ უკან სდგანან ესენი იმ ქალაქებზედ, რომელშიც თვით-მმართველობა. საერო დაწესებულებას-კი უფრო ვრცელი და ფართო მიზანი აქვს, ამ მიზნების მიღწევა შეუძლებელია კანცელიარიათა წყალობით. ამგვარად საქმის წაყვანას სარგებლობა-კი არა, ზარალი მოაქვს. ქვემოდ ჩვენ მოვიყვანთ ანგარიშს ხერსონის ერობისას და იქიდამ დაინახავთ, რამდენი აუარებელი დაწესებულება გაჩნდება ხოლმე იმ გუბერნიაში და მაზრაში, სადაც-კი საერო დაწესებულება მოქმედობს. ყველა ამ დაწესებულებათ ერთი მიზანი, ერთი სურვილი აქვთ, ადგილობრივი, სოფლის მაზრისა და გუბერნიის საჭიროების დაკმაყოფილება. ის, რის გაკეთებაც შეუძლია ერობას, არ შეუძლია არც სოფლის საგლეხო დაწესებულებას, რადგანაც იგი წოდებრივი დაწესებულებაა, გარდა ამისა მოკლებულია ინტელიგენტურ ძალას; არ შეუძლია არც სათავად-აზნაურო კრებებს, ამიტომ რომ იგიც წოდებრივია და თანაც არა აქვს ნება მოიპოვოს ის მატერიალური წყარო, რომელიც მიუცილებელი საჭიროა სასოფლო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად; არ შეუძლია არც სამაზრო სამმართველოებს, რადგანაც პოლიციის დაწესებულებაა და სულ სხვა მიზანს მისდევს, არ შეუძლია არც გუბერნიის სამმართველოებს, რადგანაც ბიოროკრატიული და ცენტრალური დაწესებულებაა და სხვა და სხვა ადგილობრივ საჭიროებას ყურადღებას არ აქცევს. არ შეუძლია არც ბანკებს, რადგანაც ზოგიერთ საჭიროებას აკმაყოფილებს და ისიც იმისდა მიხედვით, თუ რამდენი წმინდა შემოსავალი დარჩება. თუ-კი 25 წლის წინად ჩვენი ქალაქები იცნეს თვით-მმართველობის ღირსად, აღიარეს, რომ მათაც შეუძლიათ ამ პროგრესსიული დაწესებულების მოხმარება, თუ-კი რუსეთის შიდა გუბერნიები იცვნეს 31 წლის წინად ერობის ღირსად და საკმაოდ განვითარებულად მიიჩნიეს ამ დაწესებულების მოსახმარებლად, ნუთუ საეჭვოა კიდევ, რომ ეხლა მაინც ტფილისის გუბერნია სრულიად მზად არის ამ რეფორმისათვის და შეუძლია მშვენიერად მოიხმაროს ეს დაწესებულება. ქალაქებს თავი დავანებოთ, თვით სოფლებში ინტელიგენტთა რიცხვი დღითი დღე მატულობს. ყველა მათგანს ხომ არ შეუძლია სასოფლო მეურნეობას მოჰკიდოს ხელი, ანდა სახელმწიფო სამსახურში შევიდეს. ამიტომაც არის, რომ მრავალი ინტელიგენტური ძალა, რომელიც ჩვენი ქვეყნისათვის დიდი საჭიროა, იღუპება უნაყოფოდ, იღუპება, მიტომ, რომ არა აქვთ საშუალება ადგილობრივ მოთხოვნილებათ ემსახურონ. ჩვენში რომ ერობა შემოიღონ, მაშინ-კი მრავალი მემამულე წავიდოდა საერო დაწესებულებაში სასამსახუროდ, საერო გამგეობის წევრათ, აგრონომიულ ზედამხედველებად, სტატისტიკებად და სხვ.

(შემდეგი იქნება).

## უცხოეთი

—

**იტალია.** იტალიის დამარცხება გერმანიასა და ავსტრ-უნგრეთს, რასაკვირველია, არ ეჭაშნიკათ. ჟურნალ-გაზეთებმა მაშინვე სხვანაირ ჰანგებზედ დაიწყეს მღერა და ცოტა არ იყოს ზიზღითაც-კი იხსენიებდნენ თავიანთ მოკავშირეს. „ნევ ფრეიე პრესსი“ ძალიან გულ-მოსული იყო, კრისპიმ რად დაანება სამსახურს თავიო და ეხლა-კი ურჩევს იტალიელებს, თქვენი დამარცხება არ შეარჩინოთ აბაშელებს და პრესტიჟი აღადგინეთო. რაიცა შეეხება იტალიას, იმის დამცველად გვიგულებდეთ ჩვენ, თქვენს მოკავშირესა და მეგობარსაო.

„კელნიშე ცაიტუნგი“ გრაფ გოლუხოვსკის შემდეგ ამბობს: ის საშინელი ხვედრი, რომელიც უწყალო ბედმა არგუნა აბაშელებს დიდ თანაგრძნობას იწვევს მის მეგობარ სახელმწიფოთა შორის და კიდევ მეტად ამტკიცებს „სამთა კავშირს“, ვისაც ჰგონია, რომ უკანასკნელი შემთხვევები რაიმე ცვლილებებს გამოიწვევს სამ სახელმწიფოთა განწყობილებაში, იგი დიდად სცდება და არც არა სცოდნიათ-რა „სამთა კავშირის“ პოლიტიკური მდგომარეობისაო, ამით მხოლოდ იმას ამტკიცებენ, რომ სურვილი აქვთ „სამთა კავშირი“ დაირღვესო. გრაფ გოლუხოვსკის მოსვლა იტალიაზედ კარგს შთაბეჭდილებას მოახდენს და ეხლა უფრო დაარწმუნებს, რა საიმედო მეკავშირენი ჰყავსო“.

გერმანული გაზეთები ამშვიდებენ „თომა ურწმუნოებს“ და ეუბნებიან, იტალია მხოლოდ შემთხვევით დამარცხდა, მოატყუეს, შეცდომაში შეიყვანეს, თორემ ჯარი მხნედ და მამაცურად იბრძოდა და როგორც შეჰფერის რომაელების ჩამომავლებს ისე სწყდებოდენ ბრძოლის ველზედაო. ერთი გაზეთი ამასაც ამბობს, თუ გინდა იტალია აღარც-კი იქმნეს „სამთა კავშირის“ რიცხვში, ვითომდა რა გვიჭირსო. განა მარტო ჩვენ და ავსტრია არ ვიყავით ერთად 80-წლამდის, მაგრამ მაინც ძალიან ეშინოდათ ჩვენიო.

ფრანგული გაზეთი „ტანი“ კი დიდის ეჭვის თვალით უყურებს ამგვარ სიტყვებს და ჰგონია, რომ „სამთა კავშირის“ დღენი დათვლილია.

**საფრანგეთი.** პარიზში მარტო

---

რის ენით გვერდებს ულოკავს, ლოკავს და ვინ იცის, რომ ეს ლოკვა ის კოცნა არ არის, რომლითაც ადამიანნი ერთმანეთს გრძნობას უცხადებენ ხოლმე?!.

ყაჩაღის ატბორებული გონება, ოცნებით დასევადებული, ათასგვარ სურათებსა სწნავდა, რომელნიც ერთი მეორესა თვალის დახამხამების უსწრაფესად სცვლიდა... იცვლებოდა ერთი, მეორე, მესამე, მაგრამ გონება-კი არ იღალებოდა, მშიერ კაცსავით გამგელებული, ეტანებოდა საზრდოს და ოცნებაც გულუხვად აწვდიდა მრავალს სანახაობას, წარსულიდგან ამოკრებილსა.

აი, იგი უცბად გაიზარდა, ფეხზე გამაგრდა, ტუჩებ ზევით შავ-შავი ჯეჯილი აულერდა, კანის სიჩჩვილე, სისათუთე მზისაგან ატკრეცილობამ გამოუწრთო, სისხლმაც მაჭარსავით დაუწყო დუღილი, გამოახილა გონების თვალი, ბავშვობის ხელით დახუჭული, მოიშორა გულ-უბრყვილობის, უვიცობის სამოსელი და გაუმართა თვალი ცხოვრებასა, ხან დღესავით ნათელსა, ხან-კი ღამესავით წყვდიადსა. შეიტყო ფასი ერთისა და მეორისაც; იგემა ორივეს მიერ მოწოდებული ნაყოფი, ერთი ემწარა, მეორე ეტკბილა და ამ გარემოებამ სურვილი გაუღვიძა—საქმე ისე უნდა მოვაწყო, რომ ცხოვრება ყოველთვის მეტკბილებოდესო. შევა ოჯახის უღელში და გასწია ახლად დახედნილ ხარსავით, დაძაგრა ქაპანი, მაგრამ ამ დაძაგრულმა ქაპანმა პირველათვე ქედი გადაუყვლიფა; მხოლოდ არც ამას შეუშინდა და გადაყვლეფილის ქედით კვლავ ჰხნავდა, ჰფარცხავდა ცხოვრების ველს, ნარეკალით სავსეს.

და, როცა ყაჩაღს გაახსენდა ხანა თავისის ახალგაზდობისა, წარმოიდგინა ოჯახი, მისდამი ზრუნვა, აი, მაშინ მიჰხვდა, თუ რათ ეცნობა მეურმის მწარე ღუღუნი, რად მიუხვდა მის წუხილს გულისას!..

დიაღ, ნაცნობი იყო ეს ღუღუნი და მერე როგორი ნაცნობი?—არა, ნაცნობი-კი არა, თვით მეგობარზედაც-კი უმეგობრესი იყო!.. ის იყო მისთვის თვით ენა, რომლითაც გამოსთქვამდა ხოლმე გულში ნადებს ვარამს, რადგანაც ნამდვილი ენა, გარემოების წყალობით, დაჩლუნგებული ჰქონდა და არ ემორჩილებოდა მისს სურვილებს!.. ენა იყო, რომლითაც იგი ბუნებას ელაპარაკებოდა, აუწყებდა დარდებს, უთანაზიარებდა ნაღველს და ამ გათანაზიარებით ისალბუნებდა ტანჯულს სულსა!.. ამ ღუღუნმა შეაყვარა მას პირუტყვი, იმათ კი გააგებინა პატრონის სურვილი, სულიერი მდგომარეობა, ამ ღუღუნმა გააბა მათ შორის ის უცნაური ძაფი, რომლითაც მეტყველი პირუტყვს შესჩიოდა თავისს დარდსა და მის გულში თანაგრძნობას ჰპოულობდა ხოლმე.

დიაღ, იყო დრო, როდესაც მას ძმასავით უყვარდა საქონელი, მისი ბედ-უბედობის შუა გამყოფი, იყო დრო, როცა იგი თავ-გამეტებით დაეძებდა ხოლმე დაკარგულს კამეჩს, როგორათაც შვილის დამკარგავი დედა, და არად აგდებდა არც ქუხილს, არც წვიმას, არ ერიდებოდა არც კლდეს, არც ღრეს!.. იყო დრო, როდესაც იგი, პირუტყვის ავადმყოფობის გამო დაძმარებული, მასთან ერთად იტანჯებოდა და ყოველი მისი ბღავილი ლახვრად ესობოდა გულში!..

მაგრამ ეს ტანჯვები არა რა იყო იმ სიხარულთან, იმ აღტაცებასთან, როცა იმედ-დაკარგული კვლავ ჰპოვებდა ხოლმე საყვარელს პირუტყვს!..

ოცნების ბურუსით გარემოცულს ყაჩაღს,—იქნება აწმყო სრულებითაც არ გაჰხსენებოდა, რომ სხვა პირობებში ყოფილიყო; ახლა-კი როგორღაც ბუნდათ აგონდებოდა, რომ იგი ამ წამს ჩასაფრებულია, რომ ის მოჰრიალე ურემი უნდა აიკლოს, საქონელი გარეკოს და თუ, საჭიროება მოითხოვს, მეურმეც მოჰკლას. კარგ რბილ ლოგინზე რომ ყოფილიყო წამოგორებული, თბილს ოთახში, მაშინ, ადვილი წარმოსადგენია, მთლად ოცნების მორევში ჩაყურყუმელავდებოდა, მაგრამ ახლა ცხენის ფრუტუნი, წამდა უწუმ ფეხების შენძრევა და ზამთრის სუსხი, როგორც ზევითა ვსთქვით, ცალ-ყბად აგონებდნენ—ვინც იყო იგი. მხოლოდ თვითვე როგორღაც გაურბოდა ამ გახსენებას, ყურს იყრუებდა, გონების თვალს ჰხუჭავდა, რომ აწმყო არ დაენახა და ცდილობდა ოცნებას შესისხლ-ჰხორცებოდა.

და არ ათხოვა ყური გონების კრძალულ გახსენებას; არ ათხოვა იმიტომ, რომ გულმა არ ინდომა. და გულმა იმიტომ არ ინდომა, რომ ის ახლა სულ სხვა გვარად სცემდა, სულ სხვა იყო.

როგორ? გაეძარცვა ვინ? ის, რომელიც ასე მწარედ ღუღუნებდა? მოეკლა—ვინ? ის რომელიც ისეთაც მკვდარი იყო ბედის უპირობით? გაერეკა საქონელი—ვისი? იმისი, ვისაც აგრე ძალუმათ უყვარდა იგი? დაეჩაგრა ის ადამიანი, რომლის ხმამ იმდენი მწარე, მაგრამ ამასთანავე ტკბილი-რამ აგრძნობინა, გაახსენა წარსული, გაახსენა დედა, მოამაგე დედა, ტკბილი „ნანას» მთქმელი, რომელიც ამდენი ხანი დავიწყებული ჰყავდა?!.

დედა! დედა!.. ოჰ, რა ნეტარება იქნებოდა, რომ ერთის წუთით ჰაერში გამოსახულიყო საყვარელ მშობლის სახე!.. სახე, მთლად დაღარული წარღვნასავით მომდინარე ცრემლებით!.. და აღსრულდა ნატვრა—გამოიხატა დედის სურათი, მხოლოდ ჰაერში-კი არა, იმისავე გულში, რომლის უფსკრულის ძირას ჩარჩენილიყო ნაღვლიანი, მწუხარე, თავისის შვილის მომტირალი...

თანაგრძნობის გამოსაწვევად წარმოთქმულმა ღუღუნმა ჩააწვდინა ყაჩაღის გულში თავისი წუხილი, აპოვინა ერთ კუთხეში—უხვად დაგროვილი ნავლი დამწვარ გრძნობათა და გაჰქექა იგი. ბევრის რევისა და ცდის შემდეგ—როგორც იყო, მიაგნო ერთ ნაპერწკალს, რომელსაც მცირე სიცხოვლე კიდევ შერჩენოდა და შეუბერა, რომ გაეღუებინა. ცდამ ამაოდ არ ჩაიარა, ნაპერწკალი გაღვივდა და თავისის ალით სხვებიც გაათბო, რომელნიც, ნახშირად ქცეულნი — პაწია ნამცეცებად ჩარჩენილიყვნენ ნაცარში. ამ რიგად, კვლავ აგიზგიზდა მინელებული კერა გულისა, კვლავ აჟღერდა დიდის ხნის მიგდებული ჩანგი, რომელსაც ათასნაირი ტკბილი მისწრაფებანი სიმებათ გაებნენ და ყაჩაღის გაყინული არსება გათბა; კვლავ აღსდგა მკვდრეთით გრძნობა შეწყალებისა, გრძნობა შეცოდებისა და სწორედ ამ დროს ყაჩაღის სინათლემ, გულში ჩახედულმა, დაინახა სურათი დედისა, რომელიც თითქოს ნაღვლიანად ჰლოცავდა მას.

როგორათაც მზის მხურვალე სხივებისაგან გამხვალი ყინული დაიწყებს ხოლმე ჟონვას, ისეთაც განახლებულმა გრძნობამ გაადნო ცრემლთა სალარო ბოროტ განმზრახველისა და წყნარად, წვეთ-წვეთად გადმოარხია ერთი მეორეზედ.

აი, პირველი წვეთი ცრემლისა, ძვირფასის თვალის მსგავსი, თრთოლით და კამკამით წამწამს დაეკიდა, მერე უცბად მოსწყდა და უნაგირის ტახტაზე დაბჯენილს ხელს დაეცა. თითქოს ცხელი რკინით დაშანთესო, ყაჩაღმა ხელი ერთბაშად მაღლა აიქნია, ამ აქნევაზე ცხენი ახტა და მოულოდნელად გაჰქანდა გზისაკენ, ყაჩაღმა არ შეიკავა იგი, სადავე მიუშვა. შეცბუნებულმა ბედაურმა, რა თავისუფლად იგრძნო თავი, ერთი შეითამაშა, უკანა ფეხები ისე შეანძრია, გეგონებოდათ—აქეთ-იქით გაჰქან-გამოქანებას აპირებსო, და მერე ფრინველსავით მოუსვა... ყაჩაღს აღარა აგონდებოდა-რა, ვერც არაფერსა ჰხედავდა, რადგანაც თვალები ცრემლით დაგუბული ჰქონდა, მხოლოდ ყურში ჩაესმოდა—გაშორებული მეურმის ღუღუნი, რომელიც ნიავს რხევით მისაკენ მოჰქონდა.

ი. ელეფთერიძე.

ქ. ტფილისი.
12 დეკემბერს, 1895 წ.

იმაზედ-და ლაპარაკობენ, რატომ პრეზიდენტმა ფორმა თავისი მოგზაურობის დროს თან წაიყვანა რადიკალური სამინისტროს წარმოდგენელნიო. ამას ხომ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, ხალხის თვალში მინისტრებს მაღლა აყენებსო და სხვ. უფრო-კი ის ეწყინათ ოპორტუნისტებს, ფორმა რომ ლიონში ერთი დეპუტატი-ოპორტიუნისტი შეარცხვინა. როგორც უკვე მოხსენებული გვქონდა, ამ დეპუტატმა ოპორტიუნიზმის უკიდურესი მიმართულების დაცვა მოინდომა, და სთქვა—რა ნება აქვს მთავრობას საკომერციო საქმეებში ჩაერიოსო. ეს ხომ იმას ამტკიცებსო, ამბობენ ოპორტიუნისტები, რომ პრეზიდენტი რადიკალებს ემხრობა, თავისი პოლიტიკური პროგრამის დამცველი თვითვე ხდება და ეს-კი კონსტიტუციის პრინციპების წინააღმდეგიაო. თუ ამ გვარებს არ დაეიხოვა მალე უნდა მიატოვოს ელისეს სასახლეო.

ფორის მოგზაურობას მართლა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ხალხი აღტაცებით შეხვდა ყველგან იმას და რადიკალური მთავრობის მინისტრებს. ამას აი რა მნიშვნელობა აქვს. პარლამენტში ბევრნი არიან იმისთანა დეპუტატები, რომელნიც წინადვე გადაჭრილ გზას-კი არ მისდევენ და არცა სცდილობენ მტკიცედ დაიცვან რომელიმე აზრი. იმათ ერთი მიზანი აქვთ, ამომრჩევლებო ასიამოვნონ და მათი გული მოიგონ, რომ ხელმეორედ ამორჩეულ იქმნენ დეპუტატებად, ამ გვარ დეპუტატთა რიცხვი დიდია და პარლამენტარული ბრძოლის მოგება სულ ხშირად მათზედ არის დამოკიდებული. აი ამათზედ პრეზიდენტის მოგზაურობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ხალხი რა-კი რადიკალურ სამინისტროს აღტაცებით ეგებება, ჰგავს, მოსწონს და თუ მათ წინააღმდეგ წავედითო, ფიქრობენ იგი დეპუტატები, დავიღუპებითო.

შემოსავალის კვალობაზედ დადგენილის გარდასახადის საქმე ამ ღოგზაურობამ წინ წასწია. მაინც ამ კანონ-პროექტს დიდის თანაგრძნობით ეკიდება ხალხი, როგორც ქალაქის მუშები, ისე სოფლის მცხოვრებნი. ობორტიუნისტთაც არა სძინავთ და სცდილობენ დაარწმუნონ ხალხი, რომ მათთვის მეტად მავნებელი იქმნება თუ 150 მილიონის მაგიერად 70 მილიონი გადიხადა. ხალხი იმდენზედ სულელი არ არის ეს რომ დაიჯეროს, მაგრამ ამას ზედ დაურთვენ, რომ ქვეყანა დაიღუპება, მდიდრები გაიქცევიანო, მიწის ფასი დაეცემაო და სხვა. პარისის მუშებს ეუბნებიან, თქვენ ხომ სულ დაიღუპებით: ეხლა ვინც 500 ფრანკს იხდის სახლის ფასად, გარდასახადს არ იხდიან და მაშინ კი გარდიხდიანო. სხვებს ეუბნებიან თუ ეს რეფორმა მოხდა, ყველას შემოსავალს და გასავალს კონტროლები ეყოლება და აბა ეს რა სასიამოვნოაო.

ყოველს შემთხვევაში აჩქარებენ, რომ ამ პროექტის განხილვა აღდგომამდის მოხდეს, რადგან მაისში მუნიციპალური არჩევნები უნდა მოხდეს და თუ რადიკალური სამინისტრო დარჩა, მუნიციპალური არჩევნები მათ სასარგებლოდ გათავდებაო. ოპორტიუნისტები ფიქრობენ, რომ ამ პროექტის წინააღმდეგი იქმნება უმეტესობა პარლამენტისა. მიანდვეს კიდევაც დელომბრს ამ პროექტის შესახებ მოხსენება შეადგინეო, მაგრამ პროექტის პრინციპს არ შეეხო.

## ჟურნალ-გაზეთებიდამ და წიგნებიდამ

ამოკრებილი ამბები.

— ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან რა არის ეგრედ წოდებული „იქს სხივები“, რომელიც აღმოაჩინა პროფესორმა რენგტენმა. იმ „სხივების“ შემწეობით დღეს შესაძლოდ გახდა ფოტოგრაფიით გადაღებულ იქნას ყუთში დაკეტილი საგანი, შიდა-ძვლები ადამიანის აგებულებისა, კედელს იქით მიფარებული საგანი, ფიცარ და სქლად დაკეცილ ქაღალდ-ქვეშ დებული და სხვა ამისთანა. ეხლა გამოურკვევიათ, რომ ამ „იქს-სხივების“ შემწეობით შესაძლებელია ნამდვილი ალმასი, ან ბრილიანტი გაირჩეს ყალბისაგან. თუ მაგალითებრ, ბეჭედში, ან ყელსაბამში, ან ერთის სიტყვით, რაიმე სამკაულ ნივთში ნამდვილი ალმასი, ან ბრილიანტი ზის, ფოტოგრაფიით ამ სხივებს გადააქვთ მარტო ღერო, რაშიაც თვალი ზის და საცა თვალი უნდა იჯდეს, ის ადგილი ცარიელი გამოდის და თუ ყალბი თვალი ზის, თუნდ ათასში ერთი ამისთანა ყალბი თვალი ერიოს, ფოტოგრაფიით გადაღებულს ყალბი შავად დააჩნდება თურმე. ეგ იმიტომაო, ამბობენ მცოდნენი, რომ მინა, თუნდაც ისეთი წმინდაც და წყლიანი, როგორც ბროლია, ამგვარ სხივებისათვის მჭირვალი არ არისო.

— ჩრდილო-დასავლეთის მხარეზე აფრიკაში, ატლანტიკის ოკეანის პირას, რომელსაც „ტყვეთა კიდეს“ (невольничій берегъ) ეძახიან, არის ერთი ზანგთა სამეფო, დაღომეიად წოდებული. თუმცა ამ სამეფოს მკვიდრნი ისე ველურნი არ არიან, როგორც სჩანან, მაგრამ ერთი საშინელი ჩვეულება აქვთ სარწმუნოებრივი: თავისს ღმერთებს შესაწირავად უკვლენ ადამიანს, ნამეტნავად ტყვედ-დარჩენილებს. როცა იმათებური დღესასწაული რამ მოდის, ადამიანს ას-ასობით ჰხოცვენ თავიანთ ღმერთთა შესაწირავად. ერთი ხოცვა და ჟლეტაა თურმე ადამიანებისა, როცა მეფე მოუკვდებათ, მისის სულის სახსენებლად და სხვერპლად. აი რას მოგვითხრობენ, როცა მომკვდარა 1858 წ. იმათი მეფე გეზო, რომელიც თვით იქაურ მოგვებს მოეწამლათ, რადგანაც არ მოსწონდა თურმე ადამიანის სხვერპლად გაწირვა. გეზოს სიკვდილის შემდეგ ტახტზე ასულა მისი შვილი ბადადი. რომ ღირსეულად მოიხსენიოს მკვდარი მამა და ღმერთებს მიართოს იმოდენა შესაწირავი, რამოდენად არც ერთს მისს წინაპარს არ შეეწიროს, სამი ათასზე მეტი კაცი დაჰკლა მამის საფლავზე. ევროპიელნი, რომელნიც დასწრებიან დაღომეიაში მაშინ, როცა მომკვდარა გეზო და მისი შვილი ბადადი გამეფებულა, საშინელ ამბებს სწერენ. რა წამსაც მემკვიდრედ ცნობილ იქმნა გეზოს შვილი ბადადი, მაშინვე შეუდგნენ მზადებას გეზოს დამარხვისათვის. შეახვიეს აბრეშუმის სუდარაში და ჩაასვენეს უზარმაზარ კუბოში, რომელიც მორთული იყო ადამიანის თავების ჩონჩხებითა. კუბო უშველებელს ნავსა ჰგვანდა, თიხისაგან იყო აგებული და თიხა აეზილათ ტყვეების სისხლითა, რომელნიც იმ ახლო ხანებში ომში დარჩენოდნენ. მერე კუბო შეასვენეს და დასდგეს ერთს დიდს აკლდამაში, რომელიც გვირაბისავით შეთხრილია კლდეში. ეს გვირაბი წარმოადგენს გამოქვაბულებს კლდეში და თვითეული ცალკე ქვაბი დაყოფილია ერთმანეთისაგან თაღებითა. მაზხალებით ხელში მოგვებმა დაიწ[illegible] მორთვა და მოკმაზვა კუბოსი: მიცვალებულს თავით დაუდვეს სამი თავის ჩონჩხი მეფეებისა, რომელიც იქვე ქვაბში შენახული ჰქონოდათ და თვითონ კუბო დაასვენეს ცხრა თავის ჩონჩხზე, გარშემო შემოუწყეს ძვლები მტრის უფროსებისა, რომელნიც გეზოს მეფობის დროს დაეხოცათ ომებში. ესენი რომ გაათავეს, გვირაბის ორივე კარი გააღეს. გაღების უმალვე რვა მოთამაშე-ქალი (იქაურად: „აბაიასი“) წყვილ-წყვილად შევიდნენ გვირაბში, იმათ მიჰყვა ორმოც-და-ათი ჯარის-კაცი. ყოველგვარი საგძალი თან შეაყოლეს ყოველ ამათ. ყველანი ესენი დაკლულ იქმნენ მეფის საფლავზე, რათა თანა ჰხლებოდნენ თავისს მეფეს საიქიოს.

ამათ მერმე გაიბა გძელი ქარავანი ქალებისა, რომელთა შორის ბევრნი საოცარის სილამაზისანი იყვნენ. ყველა ესენი ცოლები ყოფილან გეზოსი და მოსულიყვნენ, რომ საყვარელ ქრმის საფლავს ზედ დაჰკლომოდნენ. მეფის ცოლეურთ შემდეგ მოდიოდა გუნდი და გუნდი,—ცალკე ქალები, ცალკე მამა-კაცნი,—რომ თავისის ნება-სურვილით თავები ზედ-დაეკლათ საფლავზე და მით ჰღირსებოდათ მეფესთან ერთად დასაფლავება და დამარხვა.

გვირაბი ამის შემდეგ სამი დღე კიდევ კარ-ღია იყო დაგდებული. ამ სამ დღეში კიდევ არ შეწყდა დენა იმისთანებისა, რომელნიც თავისის ნებით თავს იკლავდნენ მეფის საფლავზედ. სამ დღეს შემდეგ გვირაბი დაჰკეტეს. ამით გათავდა პირველი ნაწილი დასაფლავებისა. წელიწად ნახევარი გვირაბი დაკეტილი იყო, მას მერმედ, შვილმა მიცვალებულისამ ბადადიმ, უბძანა ხალხი შეყრილიყო. შეიყარა ხალხი და თვით გაუძღვა და მიიყვანა გვირაბთან. თვითონ მარტო შევიდა გვირაბში, გამოიტანა თავის ჩონჩხი მკვდარის მამისა მარცხენა ხელით, მარჯვენაში-კი ეჭირა ვერცხლის ნაჯახი და გამოუცხადა ხალხს მამის სიკვდილი. ხალხი, მითომ-და ეს ახალი ამბავი იყო, მყისვე პირქვე დაეცა, ყველამ წაიყარა თავზე მიწა ნიშნად დიდის მწუხარებისა და მორთო ერთი ღრიალი, ტირილი და თავში ცემა. დიდხანს არ გასტანა ამისთანა გლოვამ. ბადადიმ გადასდო იქით თავის ჩონჩხი და ნაჯახი, გაიძრო თავისი გძელი ხმალი და დიდის ყოფით გამოაცხადა, დღეის ამას იქით თქვენი მეფე მე ვარო. იმავ წამსვე გლოვა და ტირილი სიხარულად გადექცა ხალხსა: დაუკრეს თურმე საკრავები, დაიწყეს ცეკვა და თამაში, მოჰყვნენ სასაცილო პრანჭვას და ხტომას და ამით გამოაცხადეს თავისი სიხარული, რომ ეღირსათ მეფის ტახტზე აბძანება.

როგორ გადუხდია თავისი გამეფება ბადადი მეფეს და რა გვარად და რამდენი ხალხი კიდევ შეუწირავს ღმერთებისათვის და მამისათვის გაუგზავნია საიქიოს, რომ იქ ემსახურონ, შემდეგ მოვახსენებთ ჩვენს მკითხველს.

## თ. აკაკი წერეთლის „პასუხის პასუხი-“ს შესახებ.

ჟურნალ „კვალის“ მე-10 ნომერში დასტამბულია თ. აკაკი წერეთლის „პასუხის პასუხი“, „ქართველთა ამხანაგობის“ წარმომადგენელის წერილის შესახებ («ივერია» № 33).

რადგან თ. აკაკი წერეთლის „პასუხის პასუხ“-ში ვერა ვპოვეთ ისეთი აზრი, რომელიც საფუძვლიანად, ცხადად, გულ-წრფელად არღვევდეს თუნდა ერთს ლექსს ჩვენის პასუხისას და რადგან თ. აკაკი წერეთელს ჩვეულებისამებრ თავისებურად გადაუსხვაფერებია ჩვენ მიერ ნათქვამი და ამ «თავისებურს» ჩვენად უწოდებს თვითონვე უგებს პასუხს, ერთის სიტყვით მჭრელიც თვით ბრძანდება და მკერავიც, ამისათვის ჩვენ უადგილოდმიგვაჩნია თ. აკაკი წერეთლის «პასუხის პასუხს» ვუგოთ პასუხი. თ. აკაკი წერეთელს პირობის მე-9-ე მუხლიც-კი სავსებით არ ამოუწერია, უეჭველია სხვა-და-სხვა მოსაზრებისა გამო...

ეს კი უნდა აღვნიშნოთ, რომ ჯერ არავითარი „ნედორაზუმენიე“ პირობის შესახებ არ არსებობს და პირობაც დარღვეული არ არის. როდესაც ვნახავთ, რომ თ. აკაკი წერეთელი პირობას დაარღვევს, ჩვენ მოვიქცევით თანხმად პირობისა და დავიცავთ „ამხანაგობის“ ინტერესებს და უფლებას.

ქართველთა ამხანაგობის წარმომადგენელი

ალ. ჯაბადარი.

შენიშვნა ჟურნ. „კვალის“ რედაქტორს. ჟურნალი „კვალის“ რედაქტორი გულმავიწყიც ბრძანებულა. ვურჩევთ ჯერ კარგად წაიკითხოს ჩვენი წერილის ის ადგილი, რომლის შესახებ შენიშვნა დაუწერია, გაიგოს რა სწერია შიგ, შემდეგ გადაათვალიეროს „ამ მოკლე ხანში“ თ. აკაკი წერეთლის მიერ „კვალში“-ვე დასტამბული წერილები და მხოლოდ შემდეგ დაწეროს ისეთის კადნიერებით ჩვენ შესახებ შენიშვნები.

იგივე.

5 მარტი 1896

## თეატრის მატიანე.

ვინც გუშინდელი კონცერტი მოაწყო, სწორედ დიდის მადლობის ღირსია: ისეთი მშვენიერი, ისეთი სასიამოვნო კონცერტი ამ სეზონში არ ყოფილა.

ხორო ორკესტრი ბ. კლენოვსკის ლოტბარობით, კნ. გურამიშვილისა და ბ. კარგარეთელის სიმღერა, ბბ. სარაჯიშვილისა და დოლგოვის მუსიკა—ყოველი ცალკ-ცალკე მშვენიერი იყო და ერთად შესანიშნავად შეზავებული, დამატკბობელი დ მწყობრი. კნ. გურამიშვილისას მძლავრი და სასიამოვნო ტემბრის ხმა ჰქონია. მასთანვე ხმა მეტის-მეტად ხელოვნურად აქვს შემუშავებული. მეტად კარგათ აასრულა გერმანული სიმღერა; იმდენი გრძნობა და ხელოვნება იყო ამ საგალობელში, რომ მთელი თეატრი აღტაცებაში მოვიდა. კნ. გურამიშვილისა დიდის ნიჭით ყოფილა დაჯილდოვებული და მისმა სიმღერამ ნამდვილი ესტეტიური სიამოვნება აგრძნობინა საზოგადოებას. ვისურვოთ, რომ ასეთის სიამოვნების ღირსად უფრო ხშირად გაგვხადოს ხოლმე დიდის ტალანტით დაჯილდოვებულმა მომღერალმა.

განსაკუთრებულ და საგანგებო სიამოვნებას გრძნობდა გუშინ-წინ ყოველი ქართველი, რომელიც ამ კონცერტს დაესწრო. ბ. კლენოვსკის სწორეთ სამაგალითო საქმე მოუწყვია. ქართული სიმღერები, ხელოვნურად შემუშავებული, ორკესტრის მშვენიერი აკომპანიმენტით მეტად კარგი გასაგონი რამ იყო. ქართული სიმღერების კილო, ხასიათი, ნამდვილად დაცულია ბ.ნ კლენოვსკის გადმოცემაში; მასთანავე შელამაზება, ხელოვნური გამშვენიერება ძალიან მოხდენია ჩვენს საგალობელებს. მეტად მოგვეწონა: „ფაცხა“, „რენო“, «ოდელია» და „გულნარა“. უნდა აღვნიშნოთ სიმპატიური და სასიამოვნო ლირიკული ტენორი ბ. კარგარეთელისა.

დამსწრე საზოგადოება აღტაცებით, ხშირად და ხანგრძლივის ტაშის ცემით მადლობას უცხადებდა ბ. კლენოვსკის. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ბ. კლენოვსკი დიდს პატივისცემასა და სიყვარულს დაიმსახურებს ჩვენს ქვეყანაში, დიდსა და კარგს სახელს მოიხვეჭს, თუ არ დააგდებს დაწყებულ საქმეს.

პეტერბურგის ბირჟა, 5 მარტი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო. | 7,50 | — „ | — „ |
| 5%. მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკისა . . . . . | — „ | — „ | 218¼ |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა. . . . . | 100⅛ | — „ | — „ |
| 4% იმავე ბანკისა . | — „ | 97¾ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა. . . | 100½ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. . | 99½ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათათავად-აზნაურო ბანკისა . . . . . | 100½ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა . | 99½ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | — „ | 98¾ |

„ივერიის“ ფოსტა

**დავით ხველიანს:** თქვენი წერილი „ხმა ქიზიყიდამ“ არ დაიბეჭდება, რადგანაც მასში ახალი არა არის-რა.


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**ე. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო** 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, ორშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

**ა. ზ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 5—6 საათ. ორშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. მ. პუგინოვი.** 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

**ა. გ. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ა. გ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკ ნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ.)

კბილის ექიმი
ა. ი. ორბელი
სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 10-დგან 2 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (166—1891—87).


Дозволено цензурою, Тифлисъ 6-го Марта 1896 г. სტამბა მ. შარაძის და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.